

განმარტებითი ბარათი

**„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრების
შრომის ანაზღაურების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“**

აღნიშნული ცვლილებების შეტანის აუცილებლობა განპირობებულია:

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს №726 ბრძანებულებაში „ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების შესახებ“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანით, რომელიც ამოქმედდა 2007 წლის 2 ივნისიდან და რომლითაც გაიზარდა უმაღლესი საბჭოს საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ზედა ზღვარი.

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენია უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი.